

შესავალი

ძველი ქართული თარგმანის პერიოდიზაციისათვის

ძველი ქართული ენის, როგორც სალიტერატურო, მნიგნობრული ენის ჩასახვა, ჩამოყალიბება და განვითარება ჩვენში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასა და მთარგმნელობით მოღვაწეობას უკავშირდება, რადგანაც ქართულ ენაზე ქრისტიანობამდე პერიოდის ლიტერატურული ფაქტი არ არის დადასტურებული.

IV საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურთან ერთად უდიდესი განმანათლებლური მნიშვნელობა ჰქონდა: „მან დასაბამი მისცა თვისობრივად ახალ კულტურას – მნიგნობრულს, და მის საფუძველზე – ეროვნულ ლიტერატურას“ [დანელია, 1990].

ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელებასთან ერთად, პირველ რიგში, საჭირო იყო საღმრთო წერილისა და საღვთისმსახურო-ლიტურგიკული ლიტერატურის თარგმნა. მთარგმნელობითი მუშაობა ფართოდ გაიშალა როგორც საქართველოში – ტაო-კლარჯეთსა და ქართლში, ისე – საზღვარგარეთის სამონასტრო კერებში: პირველ რიგში, წმიდა მინაზე – იერუსალიმ-პალესტინისა და სირიის, შემდგომ კი ბიზანტიის სამონასტრო კერებში [ვრცლად იხ. მენაბდე, 1980; 1992];

ძველი ქართული თარგმანის ისტორიაში მიზანდასახულების, მეთოდისა და ენობრივი სტილის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს **ოთხი ძირითადი პერიოდი: წინარეათონური (ორი ქვეპერიოდით – იერუსალიმურ-პალესტინური და ტაო-კლარჯეთის), ათონური, შავი მთისა და გელათისა** [ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდების შესახებ ვრცლად იხ. კეკელიძე, 1960: 42-79].

1. წინარეათონური პერიოდი

„ჩვენთვის დანამდვილებით არ არის ცნობილი უძველესი თარგმანების განხორციელების დრო და ადგილი. სავარაუდოდ, ქართული მნიგნობრობის საწყისი ეტაპი იერუსალიმთან და პალესტინისა და სირიის მონასტრებში მოღვაწე ქართველებთან უნდა იყოს დაკავშირებული. არა არის გამორიცხული, რომ თარგმანი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდეს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ **თარგმანის აუცილებლობა მრევლის გაჩენის შედეგად დგება**. ამ ეტაპის თარგმანები ძირითადად (ფორმალურად) საკმაოდ ახლოს მისდევენ დედანს, თუმცა, ხანმოკლე გამოცდილების გამო, როდესაც ჯერ არ არის სათანადოდ აპრობირებული ლექსიკური თუ გრამატიკული ეკვივალენტები, თარგმანის ენა მოუქნელ, ჩამოუყალი-

ბებელ შთაბეჭდლებას ტოვებს და ხშირად გაუგებარიცაა. თარგმანის ამ ტიპს შეიძლება „სპონტანური“ თარგმანი ვუნოდოთ, რადგანაც მთარგმნელებს ჯერ არა აქვთ შემუშავებული თარგმანის კონცეფცია და პრინციპი, და გზადაგზა პოულობენ სათარგმნი ენისათვის თარგმანის ენის შესაბამის ენობრივ (ლექსიკურ და გრამატიკულ) საშუალებებს. თარგმანის შემდგომ ეტაპებზე უკვე პრინციპულად და თანმიმდევრულად ხდება თითოეულ ამ, უკვე ნაპოვნი საშუალებების გამოყენება.“ [ხარანაული ა., 2006: 2 და შემდეგ.] თსუ სალექციო ელექტრონული კურსი: „**ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა**,“ <https://e-learning.tsu.ge/enrol/index.php?id=1868>].

წინათონური პერიოდი წმიდა წერილისა და ლიტურგიკული ლიტურატურის თარგმნით იწყება, თუმცა შემორჩენილია წმ. მამათა ეგზეგეტიკური თხზულებების შესანიშნავი ნიმუშებიც. ამ პერიოდის ჩვენამდე მოღწეული თარგმანების შემსრულებელთა ვინაობა, სამწუხაროდ, ხელნაწერებს არ შემოუნახავთ: ამას მოწმობს თუნდაც გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, რომელიც ერთვის ბასილი დიდისა, გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკურ თხზულებათა მისეულ თარგმანს, რომელშიც ძველი მთარგმნელის სახელი არ არის მოხსენიებული: „*ღმერთო, ძუელნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ჴელნი აღმიპყრნესო*“ [გიორგი მთაწმიდელი, „ექუსთა დღეთაჲ“, 1947]. გიორგი მთაწმიდელზე „უნინარესი“, ეს უძველესი თარგმანი, როგორც მისი გამომცემელი, ილია აბულაძე ვარაუდობს ამ ძეგლის ენობრივი ანალიზის საფუძველზე, შესრულებული უნდა იყოს VIII-IX საუკუნეებში არაბულ გარემოცვაში: „რადგანაც მასში აქა-იქ შეინიშნება ლექსიკური არაბიზმები და სპარსიზმები... ამიტომ შეგვიძლია მისი წარმოშობის ადრინდელ ზღვრად მივიჩნიოთ VIII საუკუნე, ხანა, საიდანაც ახლო ურთიერთობაშია არაბობასთან საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები... უგვიანეს ზღვრად კი X ს. შეიძლება მიიჩნიოს კაცმა, რადგან XI ს.-ში მას უკვე ახალი თარგმანისათვის იყენებენ...“ ხოლო თარგმნილია იგი ბერძნულიდან, რადგანაც „უძველეს თარგმანს, ისე როგორც გიორგი მთაწმიდლისასაც ბლომად მოეპოვება ბერძნულიდან შემოსული სიტყვები, რომელთა საგრძნობი ნაწილი, თვით ბერძნულიდან მომდინარე, ამ სამეცნიერო-სასწავლო ნაწარმოებს უნდა მოჰქონდეს ჩვენს ენაში, როგორც ეს სჩვევია ასეთი ხასიათის ნაწერებს“ (აბულაძე ი., „უძველესი რედაქციები...“ 1964: 9-12)

საინტერესოა, როგორ აფასებს გიორგი მცირე – გიორგი ათონელის ბიოგრაფი და თანამედროვე – წმ. წერილის ათონელებამდე თარგმანებს და რა მიაჩნია მიზეზად იმისა, რომ ეფთჳმე ათონელი ხელახლა თარგმნიდა უკვე თარგმნილ ტექსტებს: „*დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არანმიდანი შორის ჩუენსა დათესილ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი; და ამის მიერ ფრიად გუევენებოდა, რამეთუ*

ნათესავი ჩუენი წრფელი იყო და უმანკო: ხოლო იგინი, რეცა მიზეზითა წესიერებისათა, რეცა ცთუნებად, გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნნი-ცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი. **ამათ ესევეითართა მიზეზათჳს** მოხედნა მონყალეზამან ღმრთისამან ნათესავსა ჩუენსა და აღგვდგინა ახალი ოქროპირი – ნმიდაჲ მამაჲ ჩუენი, **ეფთჳმე**, და ვითარცა მეთატცამეტემან მოციქულმან ქუეყანაჲ ჩუენი ამათ ზემოჳსენებულთა ლუარძლისაგან სრულიად განწმიდა მრავლად თარგმანებითა ნმიდათა წერილთაჲთა.... ხოლო ადრე მიცვალებითა მამისა ჩუენისაჲთა არა სრულ-იქმნეს წერილნი ჩუენნი ... და ყოველი მის მიერ დაკლებული ამან ნეტარმან მამამან **გიორგი** სრულ-ყო“ [გიორგი მცირე, „ცხოვრებაჲ გიორგი მთანმიდელისაჲ“, 1967:123-124].

2. ათონიდან შავ მთამდე

ათონის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებლის, ექვთიმე მთანმიდლის მთარგმნელობითი მეთოდი და სტილი განსაზღვრული იყო ქართველი მრევლის მოთხოვნილებით: ეფთჳმე ათონელის მიზანი იყო რთული საღვთისმეტყველო ლიტერატურა მარტივი, ადაპტირებული სახით მიეწოდებინა „სიჩრებასა შინა მყოფი ქართველი ნათესავისათვის“ [ეფრემ მცირე]. ამასთანავე, საჭირო იყო სწრაფად ათვისება და ქართველი მრევლისათვის მიწოდება უზღვავი ბიბლიოლოგიური, ეგზეგეტიკური თუ დოგმატურ-პოლემიკური, ლიტურგიკული, ჰომილეტიკური თუ აგიოგრაფიული ლიტერატურისა.

ამასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმოა, თუ როგორ მოძღვრავს ეფთჳმეს მისი მამა, იოანე მთანმიდელი: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან. და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა. ან ილუანე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“ და იგი, „ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად, და ყოველნივე განაკვრენა, რამეთუ ეგვეითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ, არცალა გამოჩინებად არს.“ [გიორგი მთანმიდელი, „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, 1967: 61].

მნიშვნელოვანია გიორგი მთანმიდლისეული დამოკიდებულება მის წინაპარ მთარგმნელთა – „ღირსთა და ნეტართა მამათა“ და იოვანე და ეფთჳმე მთანმიდელის ცხოვრებისა და მოქალაქობის ღვანლის მიმართ: „რამეთუ ჭეშმარიტად ღირსი იყო და საყუარელი ღმრთისაჲ ნეტარი მამაჲ ჩუენი **იოვანე**, რომელმან-იგი მსგავსად აბრაჰამისა, უცხოებაჲ აირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხოვრებაჲ... ვინაჲცა ესეცა ადიდა ღმერთმან და სახელოვან-ყო ყოველთა სათნოებითა და უფროჲს ყოვლისა, სანატრელისა მის შვილისა მინიჭებითა, რომელ არს ნეტარი **ეფთჳმე**, რომლისა-იგი

სახელი-ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად, რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა: განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა ... რომლისა-იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და ახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობებად, ვითარცა ნესტვ ოქროსაჲ ჳმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთსასაცა, რამეთუ ბალაჳვარი და აბუკურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქათულისა-გან თარგმნნა ბერძულად“ [გორგი მთანმიდელი, „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, წიგნი II, 1967: 41].

ეს დიდი საქმე იტვირთა და გააგრძელა ათონის ივერიის მონასტრის ექვთიმე მთანმიდლისეული საწინამძღვრო ტახტის ღირსეულმა მემკვიდრემ და მისმავე ბიოგრაფმა, გიორგი მთანმიდელმა. სწორედ მას მოუხდა პირველი ნაბიჯების გადადგმა ბერძნული ტექსტის ადეკვატური თარგმანის შესრულების გზაზე ბიზანტიური (კონსტანტინოპოლური) და არა მანამდე ჩვეული, იერუსალიმური რედაქციით (ექვთიმე მთანმიდელის მთარგმნელობითი კონცეფციისა და იერუსალიმური რეპერტუარის კონსტანტინოპოლურით შეცვლის შესახებ ვრცლად იხ. ხარანაული, **„ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა**, 2006: 4 და შმდგ. <https://e-learning.tsu.ge/enrol/index.php?id=1868>).

უძველესი იერუსალიმური ნუსხებისა და გიორგისეული თარგმანის ტექსტების ურთიერთთან გულდასმითი შედარების შედეგად ილია აბულაძე ადასტურებს მათს „ყოველმხრივ სიახლოვეს ერთმანეთთან, ერთის მიდევნებით მეორის დამუშავებას, ანუ, როგორც გიორგი მთანმიდელს აქვს ნათქვამი, „წელის აპყრობას“ ახლად მთავმნელისათვის ადრინდელი თარგმანით **„ძველი თარგმანის მიდევნებით ახლის შესრულება ისე, რომ სიახლოვე ყოფილიყო ბერძნულ დედანთან, გიორგი მთანმიდლის ცნობილი მეთოდია**. ამ გზით იმუშავა მან „სახარების“ და „დავითნის“ ახალ თარგმანებზე, ამავე მეთოდით მუშაობდა „ექუსთა დღეთას“ ახალ თარგმანზეც“ [აბულაძე 1964:12]. იმისათვის, რომ აჩვენოს, თუ როგორია მიმართება ძველსა და გიორგი მთანმიდლისეულ თარგმანს შორის, ილია აბულაძემ გვერდიგვერდ წარმოადგინა და განიხილა ორივე ტექსტის ფრაგმენტი:

უძველესი თარგმანი

„და კუალად დღისი ადვილ არს შენდა, რაათა შეიკრიბნე საკრველებანი დამბადებელისანი მრავალთაგან, ვითარ-იგი განღვძის შენ საქმედ ფიცხლითა ჴმითა მფრინველმან მან, რომელი მყოფ არს შენ თანა, ლალადებნ იგი და შორითვე მოასწავებნ აღმოსლვასა მზისასა და დილელულ ადრე აღადგინნის მოგზაურნი და განავლინნის ქუეყანის-მოქმედნი მკად! ვითარ ნათესავი იგი იხუთა მღვძარე არს და მახვლ გრძნობითა მეოტათავს, რომელთა-იგი ოდესმე იწნეს ქალაქი სამეუფოჲ ჰრომი, რაჟამს-იგი მოუწდეს მას კაცნი მბრძოლნი და მოთხარეს ჯურღმულეები ქუეჲ ქუეყანისა და კინილა და ვიდრემე და შე-მცა-ეპყრა რომელიმე კერძოჲ ჰრომისაჲ, ვიდრემდის ლერლედთა ამხილეს მტერთა მათ და განაცხადეს საქმე მათი. და რომელთა-მე მფრინველთაგანსა არა აქუს თვსებაჲ გონებასა შინა თვსსა? ვინ უსწრვის და აუნყის ჯიპოსსა სიკუდილი კაცთაჲ, ვიდრე ყოფადმდე, რაჟამს-იგი ეწყვიანი ერთმანერთსა ზედა? და იხილე მრავალი გროჲ ჯიპოსთაჲ მიუდგნ რაჲ ბანაკსა ბრძოლისასა, და ისწავებნ შემდგომსა მას განმზადებასა მისგან საქურველთა მათთაჲსა. და ესე არა შორს არს ზრახვათაგან კაცთაჲსა“.

„ერთიმეორის შინაარსობლივ თანმხვედომი ეს ორი ტექსტი ერთმანეთისგან სხვაობენ... ერთი, თვალში მხვდომი უმთავრესი მოვლენათაგანი წინადადების წყობისას ისაა, რომ უძველეს თარგმანს შემასმენლად თითქმის ყველგან ზმნის პირიანი ფორმები მოეპოვება, ხოლო გიორგი მთანმიდლისას უპიროც (ვითარებითი მდგომი მასდარი ან მიმღეობა) არა მცირედი აქვს. შეუმჩნეველი არც ის რჩება სტილის მხრით, რომ გიორგი მთანმიდელი სინონიმურ პარალელებს მიმართავს: „-გაუნყებნ შენდა მომართ მოსლვასა მზისასა აღმსობად მე ზავრთა და ქუეყანისა მოქმედთა და მუშაკთა განვლინებად მკად და შრომად“. შენიშნულია, რომ ეს მოვლენა დამახასიათებელია გიორგი მთანმიდლის ენისათვის როგორც ორიგინალურ ნაწერებში, ისე თარგმანებშიც [აბულაძე ი., 1964:13-14].

როგორც ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, ათონზე ექვთიმე მთანმიდლის დროს მოღვაწეობდა და თარგმნიდა **დავით ტბელი**. როგორც მისი თარგანების მკვლევარი, მაია მაჭავარიანი აღნიშნავს, „დავითი ეფთვიმეს თანამედროვე მოღვაწეა, მაგრამ მის თარგმანებში არ ჩანს... ჩარევა ავტორის უფლებებში... გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების დავითისეულ თარგ-

გიორგი მთანმიდლის თარგმანი

„ხოლო დღისი კუალად ფრიად უადვილეს არს შენდა ყოვლით კერძ შეკრებად საკრველებათა დამბადებლისათა, ვითარ-იგი აღადგენს შენ საქმედ თანამკვდრი შენი მფრინველი, რომელი-იგი მაღლითა ჴმითა ლალადებნ და შორითვე გაუნყებნ შენდა მომართ მოსლვასა მზისასა აღმსობად მე ზავრთა და ქუეყანისა მოქმედთა, და მუშაკთა განვლინებად მკად და შრომად! ვითარ მღვძარე არს ნათესავი იგი ლერლედთაჲ და მახვლ გრძნობითა დამფარველთაჲთა, რომელთა-იგი ოდესმე განარინეს ქალაქი სამეუფოჲ ჰრომი, რაჟამს-იგი მბრძოლთა ვიეთმე შესთხარეს ქუეჲ ქუეყანისა უჩინოდ და კინილა და ეგულეობდა რომლისამე კერძოჲსა დაპყრობაჲ, ხოლო მათ აუნყეს ზედა-მისლვითა და ყივილითა მათითა და რომელიმცა იყო ნათესავი მფრინველთაჲ, რომელსამცა არა აქუნდა თვსი რაჲმე და ბუნებითა საკრველებაჲ? ვინ არს, რომელი წინაჲსწარ აუნყებნ სიკუდილსა კაცთასა ორბთა, რაჟამს-იგი ურთიერთსა ეწყვიბოდიან? რამეთუ მაშინ იხილო ბევრეული კოლტი ორბთაჲ შედგომილი ბანაკსა მბრძოლთასა და შემზადებისაგან საქურველთაჲსა იზმნიდიან ყოფადისათვს. და ესე არა შორს არს კაცობრივთა გულის-სიტყუათაგან.“

მანებში მხოლოდ მცირე ტექსტობრივი ცვლილებები შეიმჩნევა. დავითს ეფთვიმესთან აკავშირებს ზოგადი მიზანდასახულობა – ორიგინალების მაქსიმალურად გასაგები ფორმით გადმოტანა თარგმანში. ამიტომ დავითის მიერ ტექსტში ჩატარებული ცვლილებები ყოველთვის ზომიერია... ათონური დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანის ნიშნები გამოვლინდა აგრეთვე დავითის დამოკიდებულებაში „გარეშე“ სიბრძნისა და რიტორიკის მიმართ. მისი თეორიული დამოკიდებულება რიტორიკისადმი ტრადიციულად უარყოფითია, ისევე როგორც წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა, საზოგადოდ. მაგრამ მას ტრადიციით მიღებული ცოდნით გაუცნობიერებლად გადმოაქვს ცალკეული ორატორული ხერხები ხშირად დედნისაგან დამოუკიდებლადაც. განსაკუთრებით საყურადღებო და ორიგინალურია დავით ტბელის მიერ ჰომილეტიკური ჟანრის თხზულებებში (or.4, or.36) ჰაგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელი მოდელების შეტანა. ეს მიდრეკილება სქემატიზაციისაკენ განპირობებული იყო დავითის თანადროულ ბიზანტიურ ლიტერატურაში გავრცელებული ახალი ტენდენციებით [მაჭავარიანი მ., 2002: 108-118].

ათონის სკოლის სახელით ცნობილი ლიტერატურა არამხოლოდ ათონზე და ათონის ივირონის ლავრაში იქმნებოდა: თვით გიორგი მთაწმიდელს, როგორც მისი ბიოგრაფი, გიორგი მცირე გვიამბობს: *„ნიგნნი, რომელნი მას ნეტარსა უთარგმნიან,... არა-თუ მთაწმიდასა და შავსა მთასა-ოდენ თარგმნა, არამედ სამეუფოსა (ე.ი. კონსტანტინოპოლში) და სულუ(მ) ბრისა, ანტიოქიას, სუმონ-წმიდას და კალიპოსს და სხუათა ესევითართა ადგილთა...“* [გიორგი მცირე 1967:147].

თეოფილე ხუცეს-მონაზონს, რომელიც გიორგი მთაწმიდელს თავის მოძღვრად და მზრდელად არაერთხელ მოიხსენიებს (მაგ. მის მიერ გადმოთარგმნილ სექტემბრის თვის აგიოგრაფიული კრებულის წინასიტყვაობაში იგი წერს: *„მადლითა მოძღვრისა და გამზრდელისა ჩემისა, გიორგი მთაწმიდლისაჲთა ვინყე თარმანებაჲ ნიგნთა ბერძულისაგან ქართულად (კეკელიძე კ., 1960: 245). ასევე: „საუკუნომცა არს საწსენებელი და კურთხევაჲ ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღურისა ჩემისა, გიორგი მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისაჲ, და მშობელთა მისთა“* (კეკელიძე კ., 1960: 244) – სიმეონ მეტაფრასტის აგიოგრაფიული თხზულებანი უთარგმნია სამეუფო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, ტრიანდაფლიუს მონასტერში (მარიამ-მართა ბაგრატის ასულის, დავით აღმაშენებლის მამიდის დედოფლობისას), რასაც მოწმობს ივირონის მონასტრის მეთერთმეტე საუკუნის მეტაფრასტის ხელნაწერის ერთი მინაწერი: *„ითარგმნა უკუე ნიგნი ესე მეტაფრასტი ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინოპოლს მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანფლიუს, დედისა ღმრთისასა, უღირისა მიერ თეოფილე ხუცეს-მონაზონისა; მათვე ჴელითა მიერ გაინუსხა დასაბამითგან ნელთა ექუსათას ხუთას ოთხმეოცდა მეცხრესა, ინდიქტიონსა ოთხსა ბერძულად, მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისა,*

რომლისა ბრძანებითა ვინყე თარგმნად წიგნთა ელინურისაგან ქართულად; საბერძნეთს დედოფლობასა მართაჲსსა, მისვე, გიორგის დისასა, და მეფობასა ნიკიფორე ბოტინატისა და ალექსი კომნინისათა, მას ჟამსა, ოდეს ბაგრატიის ასული მარიამ დედოფალი აღმოსავლეთით კონსტანტინეპოლეს შემოვიდა“. ამის მიხედვით კ. კეკელიძე ასკვნის, რომ თეოფილეს სექტემბრის მეტაფრასები 1081 წელს უთარგმნია [კეკელიძე კ., 1960: 245].

გიორგი მცირის თხზულებიდანვე ჩვენთვის ცნობილი, რომ გიორგი ათონელმა, მას მერე, რაც ოცდახუთი წლისამ „ქედი თჳსი მოუდრიკა ტკობილსა მას უღელსა მონაზონებისასა,... შრომითა და მოღუანებითა შემკობილი, მიინია შავსა მთასა და მერმე აღვიდა მთასა საკვრველსა...ხოლო ყოვლისა პირველად იწყო ძიებად წინამძღურისა და მოძღურისა სულიერისა... და პოვა მთასა საკვრველსა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმიდაჲ შეყენებული, გიორგის ვიტყვ, დაყუდებულსა – ამას დაემონაჲ ნეტარი ესე [გიორგი მცირე 1967: 121].

მას მერეც, რაც ათონის მონასტრის წინამძღვრობიდან დაიხსნა თავი, გიორგი მთაწმიდელმა „მოიცილა ყოველთა ამათ შფოთთა და საურავთაგან, და ყოვლისა ზრუნვისაგან თავისუფალმან, იწყო თარგმანებად წმიდათა წიგნთა, ვითარცა სული წმიდაჲ მოსცემდა,... წარემართა **კუალად შავსა მთასა**, რამეთუ ესე ყოველთა უწყით, რამეთუ ეგევთარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა, სხუად არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვჳგონებ-თუ, არცა გამოჩინებად არსო“ [გიორგი მცირე, 1967:145].

როგორც ვნახეთ, ასეთსავე შეფასებას აძლევდა თვით გიორგი მთაწმიდელიც ეფთჳმეს მთარგმნელობით მოღვაწეობას, რასაც სიტყვასიტყვით იმეორებს გიორგი მცირე მის მიმართ, მაგრამ, „ღვთის მადლით“, ცოტა ხანში კვლავ გამოჩნდა დღევანდელი გადასახედიდან **ახალი მნათობი შავი მთისა, ამ სკოლის დიდი მოღვაწე, ეფრემ მცირე – ქართული თარგმანის ე.წ. „ელინოფილური“ მიმართულების სრულიად ახალი კონცეფციის ავტორი**, რომელსაც მაშინ თანამედროვეთაგან არა თუ არ ჰყოლია დადებითი შემფასებელი, არამედ თავისი უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედების გზაზე მრავალი დაბრკოლების, შემოტევისა და „ყვედრების“ გადალახვა უხდებოდა (რაც ჩანს მისი თემატურად უმდიდრესი კოლოფონებიდან). მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ძველი ქართული თარგმანის განვითარების ისტორიაში მისი დიდი კვალი ფასდაუდებელია.

3. შავი მთიდან გელათამდე

XI-XII საუკუნეები, „ელინოფილური“ მიმართულების ხანა ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ისტორიაში, გამოირჩევა ცნებითი ღირებულების მქონე ლექსიკის აქტიური შემოქმედებით, ქართული ენის სასიცოცხლო ძალების არაჩვეულებრივი დაძაბვითა და გააქტიურებით. ამ ხანისათვის დამახასიათებელმა საზოგადო ინტერესმა ეგზეგეტიკისადმი,

როგორც ელინური, ელინისტური ხანის ფილოსოფოსთა ნაშრომების, ისე ბიბლიური ტექსტების კომენტარებისადმი, თავის მხრივ, წმინდა ფილოსოფიით დაინტერესება გამოიწვია როგორც საკუთრივ ბიზანტიის საგანმანათლებლო წრეებში, ისე მისი კულტურულ-რელიგიური გავლენის ქვეშ მყოფ პერიფერიებში. კონსტანტინეპოლში ამას ხელი შეუწყო აკადემიური, ტრივიუმ-კვადრივიუმის, სისტემით სწავლების აღდგენამ და კონსტანტინე მონომახის მიერ ცნობილი „მანგანას აკადემიის“ დაარსებამ, ხოლო, XI საუკუნის დასასრულს, ალექსანდრე კომნენოსის მიერ ხოლო საქართველოში კი – დავით აღმაშენებლის მიერ ამგვარივე სასწავლებლის – „გელათის აკადემიის“ დაარსებამ. ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურის მიზანდასახულმა და სისტემურმა თარგმნა-დამუშავებამ მოითხოვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხედვისა და აზრის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა ზუსტი შესატყვისების დაძებნა და წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა.

სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც „ელინოფილური“ მიმართულების მიმდევრებმა დაუტოვეს ქართულ მნიგნობრულ, სალიტერატურო ენას.

* * *

სირიაში, ანტიოქიის მახლობლად მდებარე „შავ“, ანუ „საკვრველ“ მთას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული სამონასტრო ბერ-მონაზვნური ცხოვრებისა და საღვთისმეტყველო-მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიაში.

V-VI საუკუნეებში სირიაში ფართოდ გაიშალა ბერმონაზვნური ცხოვრება. აქ IV-V საუკუნეებში მოღვაწეობდა ცნობილი ბერი – სვიმეონ მესვეტე, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მკაცრი ასკეტური ცხოვრებით (როგორც ცნობილია, იგი ცხოვრობდა სვეტზე და „დაყო მასზედა ოცდაათი წელი“). მისი გარდაცვალების შემდეგ შავ მთაზე გაშენდა წმ. სვიმეონის მონასტერი. VI საუკუნეში კი იქვე, საგანგებოდ აღმართულ სვეტზე, ცხოვრობდა მისი მიმდევარი – სვიმეონ მესვეტე-უმცროსი.¹

სვიმეონის სავანეს დიდძალი ხალხი მიაწყდა. მათ შორის ქართველებიც იყვნენ: როგორც გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფი, გიორგი მცირე იუწყება, სვიმეონის ლავრაში ქართველნი „პირველთაგანვე თვთ წმიდისა სვეთონის მიერ [იყვნენ] დამკვდრებულნი“. თვით სვიმეონ საკვირველმოქმედის დროს აქ ქართველთა მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის წმ. სვიმეონის დედის, ნეტარი მართას „ცხოვრება და მოქალაქეობა“ და „ცხო-

1 სირიული ასკეტიზმის შესახებ ვრცლად იხ. ჯუღელი: „ნეტარი თოდორიტი კვირელი“ ტ. II, ნაკვთი III, თეოდორიტი კვირელის “ფილოთეონ ისტორია” სირიული ასკეტიზმის ფონზე, ნან. I ფილოთეონ ისტორია – სირიელი ასკეტების მატიანე, 2011: 7–68.

რება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სკმეონისი, საკრველმოქმედისა“ [მენაბდე, ლ. 1960: 144]. მაგრამ ქართველთა სამონასტრო ცხოვრება და მთარგმნელობითი მოღვაწეობა შავ მთაზე განსაკუთრებული ძალით XI საუკუნის 30-იანი წლებიდან გაჩაღდა, როდესაც აქ, „მთასა საკრველსა ნაპრაღსა შინა“ ხელნაწერთა ანდერძ-ნამაგებიდან ჩვენთვის კარგად ცნობილი „ნათესავით ქართველი“ „ბერი წმიდა, შეყენებული, ვითარცა გურიტი უბინოჲ და ტრედი უმანკოჲ, კაცი ზეცისაჲ და ანგელოზი ქუეყანისაჲ, ყოვლითურთ უცხო და განშორებული ჴორცთაგან და ჴორციელთა ზრუნვათა და გონებითა ღმრთისათა მიცვალებული – გიორგის ვიტყჲ, დაყუდებულსა – დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩუენისასა...“ სწორედ „ამას დაემონაფა ნეტარი ესე“ – გიორგი მთაწმიდელი (გიორგი მცირე, 1967: 121).

აქ, ამ „საკვირველი მთის“ ლავრებში, ღირსი მამის – გიორგი დაყუდებულის თაოსნობითა და ძალისხმევით, ჩაეყარა საფუძველი ბერძნულიდან ქართულად „ელინოფილური“ მიმართულების თარგმანს – სიტყვასიტყვითს თარგმანს, აღჭურვილს სქოლიო-კომენტარებით; არაერთი ხელნაწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ღირსი მამა გიორგი დაყუდებული მთარგმნელისაგან მოითხოვდა ბერძნულთან გამონღვიღვით შენამებასა და ზედმიწევნით სიახლოვეს. ასე მაგ.: შავი მთის უდიდესი მოღვაწის, ეფრემ მცირის ერთი ცნობილი ანდერძიდან, რომელიც ერთვის „სამოციქულოს“ მის მიერ რედაქტირებულ წმ. გიორგი ათონელისეულ თარგმანს, ვგებულობთ, რომ გიორგი დაყუდებულის („-შეყენებულის“) ზედამხედველობის ქვეშ რომანა წმიდას დამკვიდრებულ გიორგი მთაწმიდელს, რომელმაც „სამი წელი დაყო მას შინა შრომითა და მოღუანებითა, მარხვთა და მღჳძარებითა და უფროჲს ხოლო სიმდაბლითა და მორჩილებითა“, 1036-39 წლებში, ხოლო უფრო გვიან კი – სვიმეონწმიდასა და კალიპოსშიც, „პავლენი და დავითნიცა, რომელ ახლად ეთარგმნენს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა, ვიდრემდის უკუანაჲსკნელ დიდისა მის მოღუანისა გიორგი დაყუდებულისა იძულებითა და ბრძანებითა კუალად უსრულესად და უწმიდესად ეთარგმნენს“ [ეფრემ მცირე, საქმე მოციქ., კოლოფ., 2009: 206].

ამიტომ ეფრემ მცირეც (რომელსაც, თუმცა კი სამოციქულოს ტექსტი, როგორც გიორგი ათონელს ეთარგმნა, ისევე გადმოუწერია, რათა „**მონფობაჲ მისი სრულ-ყო**“), იძულებული გამხდარა, ეს თარგმანი მაინც შეეჯერებინა დედანთან და შეესწორებინა „**ბერძულისა ძალისაებრ, თანა-შენევნითა და წინაძლომითა თარგმანთა (განმარტებათა) და ლექსიკონთაჲთა**“ [საქ. მოციქ.: 2009: 206].

ეფრემ მცირე, შავი მთის ეს დაუღალავი მოღვაწე, თვლის, რომ მისი თანამედროვე „გამომეძიებელი“ მკითხველი, წმ. ათონელი მამების ნაღვანის წყალობით, უკვე მზად იყო მტკიცე საზრდელის მისაღებად და ხელახლა თარგმნის წმ. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ უკვე სრულად, „საფილოსოფიო“ თავებითურთ, „გარდამოცემასთან“ ერთად (მაშინ, როცა წმ. ეფთჳმეს თავის დროზე ეს თავები არ უთარგმნია); ასევე, წმ. მამათა ვრ-

ცელ განმარტებებს ურთავს „დავითნის“ მის მიერ რედაქტირებულ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს; სრულად თარგმნის წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიებს, რომლებიც მკითხველისათვის ვრცელ კომენტარებს საჭიროებენ; და ბოლოს, თარგმნის დიონისე არეოპაგელის ოთხივე თხზულებას მაქსიმე აღმსარებლისა და გერმანე კონსტანტინეპოლელის განმარტებებითურთ. რადგანაც, მისი აზრით, „ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყუაჲ მრავალსა პირსა აღიარებსო“, ასეთი ადგილები წმ. ნერილისა, რომელნიც მრავალგვარად შეიძლებოდა გაგებულიყო, საჭიროებდა წმ. მამათა განმარტებების დართვას. სწორედ ასეთ ადგილებს „ზედამინენით გამოიკულებეს წმიდაჲ იოვანე ოქროპირი და განცხადებულად უეჭუელ-ჰყოფს ვითარებასა მისსა. ამათ ესევითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უწმდა შეცვალება და სხუებრ ცუალებაჲ სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინღა ძლით გულისხმა-იყოფებოდის, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსიკონნი შემოვიკრიბნი, მაშინღა ძლით მოუპოი ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ-“ [ეფრემ მცირე, საქ. მოციქ. კოლოფ., 2009: 206]; ან კიდევ: „რაოდენნიცა იყვნეს წიგნის საცავსა სემონწმიდისასა თარგმანნი დავითისნი, ყოველნივე დედად მქონდეს და ფრიადითა შრომითა მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელი ოდენ იპოებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული“ [თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის, ფსალმ. კოლოფ., 2009:177).

როგორც ვხედავთ, ისეთი ადგილების მართებულად თარგმნისათვის, რომელთა შინაარსი (აზრი) სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა გაგებულიყო, იგი აუცილებლად თვლიდა წმ. მამათა – იოანე ოქროპირის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა (რომელთა სახელებს „სიწმოსა გამო“ აღარ ჩამოთვლის), განმარტებების გამოყენებას. იგი ერიდება ბერძენთა და ბერძნულის მცოდნეთა ყვედრებას „გამოუძიებლად დაწერისათვის სიტყუათაჲსა“ და ხელახლა აჯერებს (აღარებს) ბერძნულ დედნებთან დიდი „უღუმპიელების“ – ათონელი მამების თარგმანებს და შესწორებები შეაქვს მათს „ნამუშაკევეში“, თუმცა კი დიდი რიდის გამო ეს ცვლილებები მას, როგორც თვითვე ამბობს, „უნდოსა მტუერსა წმიდათა ფერჭთა მათთასა“, „კიდესა სტიქონისასა“ ანუ აშიაზე გაუტანია.

ამგვარად, შავ მთაზე გიორგი დაყუდებულის მოთხოვნების პრაქტიკულად განმახორციელებელი მთარგმნელობითი მეთოდის თეორიული საფუძვლების დამდები და შავი მთის მნათობი **ეფრემ მცირეა** (ეფრემ მცირის მთარგმნელობითი და, ზოგადად, ფილოლოგიურ-ეგზეგეტიკური და ტექსტოლოგიური ძიებების შესახებ იხ.: კეკელიძე კ., 1960: 250 და შმდგ. რაფავა მ., 1976: 32-47; თვალთვაძე დ., 2009; ჯუღელი ვ., 2008: 347 და შმდგ. 2011: 355-366).

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითი მეთოდისა და სტილის ძიებანი ამ ხანის მოღვაწეთა ურთიერთთანამშრომლობითა და შეთანხმებით ხორციელდებოდა. ეფრემ მცირის არაერთი ანდერძი მოწმობს იმავე

გიორგი დაყუდებულის, საბა სულაის-ძე თუხარ(ს)ელის, ანტონ ტბელის, იოანე ფარაკნელის, იოანე ხუცესი მთავარაისძის, იოანე სვიმეონწმიდელი ღრამატიკოსის, გაბრიელ-სტეფანე ხუცისა ჭულეველის (იგივე სტეფანე სანანოჲს-ძე) დავით ტბელის, და ბოლოს, არსენ იყალთოელის (რომელიც მისი ძალმწე იყო წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემისა“ და „საფილოსოფიო თავების“ თარგმნისას) დამოკიდებულებას საერთოდ ფილოლოგიური მუშაობისა და, კერძოდ, მთარგმნელობითი საქმიანობისადმი, რაც ძირითადად, დედნისეული აზრის ზედმინევენითი სიზუსტით გადმოღებასა და ტექსტის წმიდა მამათა განმარტებებით აღჭურვაში მდგომარეობდა [შავი მთის მოღვაწეთა შესახებ იხ. ე. მეტრეველი, შავი მთის მნიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს.-ის პირველ ნახევარში, 1959: 87; ლ. მენაბდე, 1980:152-167; მ. რაფავა, იოანე მთავარაისძე, შავი მთის ქართველი მოღვაწე, „ნახნაგი“, 1: 2009: 128; ვ. ჯუღელი, „ფილოთეონ ისტორიის ძველი ქართული თარგმანები,“ ნიგნში: ნეტარი თეოდორიტე კვირელი ტ. II, ნაკვეთი IV; 2011: 329-412:].

შავი მთის მთარმნელობითი სკოლის დიდი ჯგუფის თანამშრომლობის მოწმეა XI-XII საუკუნით დათარიღებული S-384 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს წმ. მოწამეთა მეტაფრასული რედაქციების თარგმანებს, რომელთა შემსრულებლები ანდერძ-მინანერების მიხედვით არიან: ეფრემ მცირე (უმეტეს შემთხვევაში), არსენ იყალთოელი, დავით ტბელი, სტეფანე სანანოჲს-ძე, თეოფილე ხუცეს-მონაზონი. ეს უძვირფასესი ნუსხა თანადროულია „მეფეთმეფისა გიორგისი“ და მისი ძის – დავით მეფისა, პანიპერ სევასტოსისა“: ამას მოწმობს ერთ-ერთი ანდერძი, რომელიც ახლავს ნოემბრის საკითხავს: „*იესუ ქრისტე, მფლობელო ყოველთა სუფევეათო, ადიდე ორკერძოთავე დიდებითა შენ მიერ გვრგვნოსანი, ბრწყინულე და უძლეველი მეფეთამეფე გიორგი, და მაღალი კესაროსი და განანათლენ წელნი მეფობისა მათისანი ნებისაებრ მათისა და (შენ) მიერ მონიჭებული ძე მათი, დავით მეფე და პანიპერ სევასტოსი ადიდე და მძლე-ყავ ყოველთა ზედა მტერთა და წინააღმდეგომთა, ამინ“ ფ. 535 [S -384: 466].*

რა იყო მიზეზი იმისა, რომ ათონის სკოლისა და, კერძოდ, წმ. ეფთვიმე ათონელისათვის დამახასიათებელი „გამოკრებული“ თარგმანისა და შემატება-კლების მეთოდით შესრულებულმა თარგმანებმა ზუსტი, ადეკვატური მეთოდით თარგმანებს დაუთმო ადგილი?

ეს რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული:

1. წმ. ეფთვიმე ათონელი, რომელიც „ბრწყინვალე მნათობია“ ჩვენი ერისა და ეკლესიისა, საყოველთაოდ აღიარებული დიდოსტატი იყო თარგმანისა („*ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ესევითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისსა, სხუად არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს“ ... [მან] „უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა... და სივრცითა და სიმაღლითა ღმრთივთარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთაჲთა ნაკლულეჲვანებაჲ ენისა*

ჩუენისა აღავსო და, რომელნი ესე ბარბაროზნოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისა და უმეცრებისა ჩუენისა, მათთანვე აღგურაცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თვისითა“ (გიორგი მცირე, 1967: 145). წმ. ეფთჳმე საგანგებოდ არჩევდა დედნებსა და წყაროებს, ქრისტიანული მოძღვრების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ გამოკრებილ, ადაპტირებულ ტექსტებს სათარგმნელად; ან თვითვე გამოკრებდა მათ (როგორც წმ. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროსა“ და ანასტასი სინელის „წინამძღვრის“ თარგმნისას მოიქცა) და მზამზარეულ სახელმძღვანელოს, „წინამძღვარს“ აწვდიდა ქართველთ: ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიჩროებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა“. ეფრემ მცირის აზრით, წმ. ეფთჳმე თარგმნიდა რალაც გარკვეული „განგებულებით“, „ვითა მას ჟამსა შეჰგუანდა“. ამიტომ მას „მადლითა სულისა წმიდისათა ჴელ-ენიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“ [ეფრემ მცირე, „დიალექტიკის“ წინასიტყვაობა, 1976: 67]. იგი წმიდასა და მაგარ ღვინოს, რომელსაც გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი შეიცავდა, აზავებდა წყლით, ვინაიდან ჩვენი ერი მაშინ „ლიტონი და უსუსური“ იყო: „რამეთუ მას პავლესგან ესწავა ესეცა და ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღვინისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა, რაჟამს სიტყუა-სიმოკლე მოძღურისა განავრცოს ლიტონისა ერისათჳს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩჳლ მისდადმდე, ხოლო აწ მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა“ [თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის კოლოფონები, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის ანდერძი, 2009: 227].

ეფრემ მცირე არ უგულვებელყოფს მარტივ და ლიტონ, ადაპტირებულ თარგმანთა მიწოდებას მკითხველისათვის და მიიჩნევს, რომ რთულ და ვრცელ განმარტებებთან ერთად, რომლებიც „ულრმესად გამომეძიებელთათვის“ არის დანიშნული, მარტივი და ლიტონიც საჭიროა „მარტივთა და ლიტონთა“ მკითხველთათვის. ამ ტიპის „გამოკრებული“, ადაპტირებული კრებულები ბიზანტიურ მწიგნობრულ პრაქტიკაშიც არსებობდა: ამას ეფრემ მცირის წინასიტყვაობაც მოწმობს, დართული წმ. იოანე დამასკელის ზემოთ დასახელებული სამნაწილიანი შრომის „საფილოსოფიო თავებისათვის“: „წინამძღუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელ-ედებოდენ, რამეთუ იგი ამისგანვე გამოკრებულ არს; ხოლო ესე არა უწყი, თუ თვთ მამასა ეფთჳმის გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია, რამეთუ სხუანი წიგნნი გამოკრებულნი, ვითარ-იგი არს „მარგალიტი“ და „ყუავილ-კრებული“ და სხუანი მსგავსნი მათნი ბერძულად ეგრეთვე გამოკრებულნი არიან“ [ეფრემ მცირე, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ წინასიტყვაობა, 1976: 68-69].

ეფრემ მცირეს, რომელიც ქედს იხრის ათონელ მოღვაწეთა წინაშე, რომელთაც თავის მასწავლებლებად თვლის, ხშირად უხდება თავის მართლებას, როდესაც მას საყვედურობენ და ქედმაღლობაში სდებენ ბრალს იმის

გამო, რომ ხელახლა თარგმნის ათონელი მამების მიერ თარგმნილ ტექსტებს: „შემდგომნი თარგმანნი პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით, და ვითარცა ღმრთისად, ეგრეთვე ჩუენთა უწინარესთად შეეჭრაცხთ მადლსა მას და მათსა მეოხებასა ვიჭუმევთ, ვითარცა ყოველთა წმიდათასა...“, მაგრამ – „რომელნიმე უკუე შურით და ჳდომითა, ანუ, ვითარ-იგი ვიეთმე თქუეს ჩემთჳს – თავისა უმჯობესად გამოჩინებისათჳს ვქმნა, ანუთუ მიქმნიეს, უცხომცა ვარ ღმრთისაგან და ყოველთა წესთა ქრისტიანობისათა. რამეთუ ანბანი ბერძულისა და ქართულისად მათგან მისწავიეს შემდგომად ღმრთისა, და მიერითგან რაეცალა ვისგან ვისწავო, მას მათდავე შეეჭრაცხ, რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ, და მათითა ყურიითა მესმის, და მათითა ჳელითა ვშურებუნი, და უკუეთუ მათითავე ჩემდა დატევებულთა კეტებითა და უროებითა მათსა ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანებისაგან ყანობირ-ქმნილსა შინა ადგილ-ადგილ სიმამურალითა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კიდე აღმოგკაფო, ამას მათსა მათთაგან – მათდავე შევსწირავთ“ [თვალთვაძე დ., ეფრემ მცირე, ნაზიანზელის ჰომილიების კოლოფონები, 2009: 225-226].

ეფრემ მცირის ქრისტიანული თავმდაბლობისა და მოკრძალების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონარიდს მისი ერთ-ერთი ანდერძიდან, რომელიც ერთვის S-384 XI-XII სს-ის მეტასფრასული კრებულის წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრების თარგმანს: „დიდებაჲ შენდა ღმერთო, მიზეზო ყოველთა კეთილთაო, დასაბამო და სრულ-ყოფელო ყოველთა არსთაო, სამგუამოვნებით და ერთარსებით ცნობილო სამებაო, რომელმან ჯერ-იჩინე სრულყოფად ცხოვრებასა იოვანე, ნამდვლვე ჭეშმარიტისა მწყემსისასა მწყემსთა და უსრულესისასა მოძღუართა შორის, რომელი-იგი, დაღაცათუ ოქროვანად სახელ-იდების, არამედ უპატიოსნეს მისსა არს, რაოდენ-იგი ვერ ეგოდენ თივისა დამწერისასა, რომლისა მეოხებითა და ლოცვითა ბერთა ჩუენთაჲთა: საბაჲს და ანტონისითა ანცა ითარგმნა ესე ახლად ბერძულისაგან მეტასფრასისა ყოვლად წადიერებითა და მჭურვალედ სურვილითა გაბრიელ-სტეფანე ხუცისა ჭულეველისაჲთა, **რომელმან, უმეტეს ზომისა აიძულა პირუტყუთ სახე-ესე გონებაჲ ჩემი, ყოვლად მცირისა და რეცა უნარჩევებისა რაჲსმე თარგმანთაჲსა ეფრემისი და კადნიერ-ყო, სხუათავე თანა, ამისდაცა თარგმნად და კადრებად.**

უკუეთუ რაჲმე კეთილი არს, იგი ღმრთისაჲ და ზემოწესებულთა ამათ ლოცვისა და მადლსაჲ, ხოლო, ნაკლულევეანებაჲ – ყოველი ჩემი არს. და უღირსისა ამის ბრალთა მიერ განფრდილისა გონებისაჲ. გევედრები, უკუე ყოველთა მკითხველთა და მსმენელთა, რაჲთა ლოცვა-ჰყოფდეთ პირველ-მოწესებულთა მათ მამათა ჩუენთა მოძღუართა და მშობელთა, ძმათა, და შვილთა მათთათჳს; ხოლო მე ყოველივე ცთომილებაჲ სახარებით მომიტევეთ და თქუთ წმიდითა პირთა თქუენითა აღწოცაჲ ცოდვათა და უშჯულოებათა ჩემთაჲ, რაჲთა თქუენცა ჰპოვოთ მადლი მოწყალებისა ჩემისაჲ

ღმრთისა მიმართ მრავალმონყალისა ამინ!“ [S-384: „აღწერილობა“, 1959: 121-2].

ერთი და იმავე თხზულების (განსაკუთრებით, წმიდანთა ცხოვრებების) ხელმეორედ თარგმნის საფუძველი ხშირად თვითონ ბერძნულადვე ორი ან მეტი სხვადასხვა დროისა თუ ავტორის ან რედაქციის არსებობაც იყო – მოკლე და ვრცელი – კიმენური და მეტაფრასული. ეფრემ მცირის მრავალ ანდერძ-მინაწერებიდან ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ მდიდარი S-384 ხელნაწერის ერთ-ერთი ანდერძი, რომელიც ბოლოში ერთვის დიმიტრი თესალონიკელის წამების ოქტომბრის საკითხავს: „გვედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხვნეთ „წამებასა“ ამას, რაჟთა უწყებულ იყვნეთ, ვითარმედ არა-თუ ამისთვის დაწერილ არს, ვითარცა უმეტესსა რასმე მეტყუელი პირველისასა, გარნა ყოველთავე ამათ დიდთა მონამეთა ორ-ორი აქუს „წამებაჲ“ – უძუელესი და უახლესი: არა-თუ უმრუდესი და უმართლესი, არამედ – უცხადესი და უღრმესი; ეგრეთვე აქუნდენ ამასცა მეორე-ესე პირველსავე თანა, რამეთუ ესე ბერძენთაცა ეგრეთ აქუს, რაჟთა, რომელიცა-ვის სთნდეს, მას იკითხვიდეს და ლოცვასა ჰყოფდეს განმგებელთათვის, და შენდობასა მკადრებელთათვის. ამის მთარგმნელი – მცირე ეფრემ ადიდე სულითა, ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, ამინ!“ [S-384: 535; „აღწერილობა“ I, 1959: 467-568].

კიდევ ერთი მიზეზი ხელმეორედ თარგმნისა იყო ის, რომ, მართალია, ძველი თარგმანის არსებობის შესახებ სმენოდათ, მაგრამ მასზე ხელი არ მიუწვდებოდათ და დიდი ლოდინის შემდეგ, როდესაც ვერ მიიღებდნენ თარგმანს, იძულებულნი იყვნენ, შეევსოთ დანაკლისი. ამას მოწმობენ ეფრემ მცირის ანდერძ-მინაწერები: ერთი, ზემოთ დასახელებული S-384 ხელნაწერია, რომლის მიხედვითაც, ნოემბრის თვის წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედის საკითხავის გრიგოლ ნოსელისეული ტექსტის თარგმანი შეუსრულებია ეფრემ მცირეს, რომელიც მისთვის დამახასიათებელი მორიდებით და, ამავე დროს, დანვრილებით განმარტავს, თუ რატომ გახდა საჭირო ამ წმინდა მამის ცხოვრების კვლავ თარგმნა: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, რომელნიცა მოემთხვნეთ აღწერილსა ამას წმიდისა გრიგოლ ნოსელისასა ცხოვრებასა დიდისა გრიგოლი საკვრველთმოქმედისასა, რომელი დაინერა ბერძულისაგან ქართულად მოსწრაფებითა მღვდლისა გაბრიელისითა და ჳელითა ყოვლად უღირსისა ეფრემისითა, ხოლო ბრძანებითა ზოგადისა მამისა ჩუენისა ბერისა საბაჲსი, რომლისა იყავნ საუკუნე საჳსენებელი და კურთხევაჲ ამისი, ამენ, იყავნ!“

ხოლო, ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ: ცხოვრებაჲ ამის წმიდისა, რომელ ჩუენ ძუელად გუქონდა, სხუჲ არს, და ესე, გრიგოლი ნოსელისა თქუმილი – სხუჲ. და ესეცა გუასმიოდა, ვითარმედ (პირვე)ილსავე თანა ნოსელისა წიგნისასა ესეცა საკითხავი უთარგმნია წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგი მთანმიდელსა, გარნა ჩუენ ჯერეთ არა გუეხილვა, არცა შავსა მთასა მონვენულ იყო. ამისთვის იძულებითა მღვდელისა გაბრიელისითა ვთარგ-

მნე, ვითარცა არა მომლოდემან მის წიგნისა აქა მოწვევისამან სიჰავი-საგან ჟამთაჲსა და უდებებისაგან გონებათაჲსა. და ესე დავწერე, რაჲთა უკუეთუ ოდესმე მოიწიოს, არა ჰგონოთ, თუ კადნიერებით ვყავ თარგმნაჲ თარგმნილისა დიდისა მოძღურისა და ეკლესიისა მნათობისასა, რომლისა უმჯობესი ნუუკუე-და არცა-თუ უპირატესისა მისისა და ზოგადისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისაგან საგონებელ იყო მეორედ თარგმნაჲ, ვინაჲცა იყავნ საუკუნე ჴსენებაჲ და კურთხევაჲ მათი, ამენ! [S -384: 728].

ცნობილია ისიც, რომ შავ მთაზე „უმეტეს ათორმეტისა წლისა ჟამთა“ მოელოდნენ „პატიოსნისა მღვდელისა პროკოპის მიერ თარგმნილსა „ასკეტიკასა“ ამას წმიდისა ბასილისსა, და გინა-თუ ჟამთა სიჰავითა, ანუ კაცთაცა სიგრლითა არავინ მოგვტანა, არცა ზემოთ, არცა სამეფოთ (გინა მთაწმიდთ-132). ამისთვის, ვითარცა სასონარკუეთილი მისგან ბრძანებითა წმიდისა მამისა ანტონი ტბელსაჲთა, პირველ ესოდენტა წელთა დაწყებულსა ვიიძულე თარგმნად, რამეთუ, მაშინ მეწყო-ოდენ და, რაჲ მესმა, დავაცადე დღითი-დღე წყურტიელად მოლოდებითა მისითა. ხოლო ან, შიშითა ჟამთა და გზათაგან ვერ მოწვევისაჲთა, ვთარგმნე ამით გულის-სიტყვთა, რაჲთა, უკუეთუ ოდესმე მოიწიოს მისი თარგმნილი, მისი იჰყართ, ვითარცა უხუცესისაჲ, და ესე – ვითარცა უმრწამესისაჲ. და რომელი რაჲმე მუნ ჰმატდეს, გინა – აქა, ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ და სხუებრობაჲ ნუ გიკვრს, რამეთუ თვთ ბერძულნიცა წიგნი, ვითარცა-ვინ დედაჲ პოვოს, ეგრეთ გადაინერებიან. და ორთა წიგნსაცავთა სჳემონ წმიდისათა ასკეტიკონნი სხვთა და სხვთა ჰმატდეს ურთიერთას, ამისთვის თუალსაჲცა მოვიღეთ და თვთ მათივე ბერძენთა უბრძენსთა და უსულიერესთა კითხვითა ძალისაებრ სისრულე სიმართლე ვიხარკე“ [A-689] [ხინთიბიძე, 1968: 76; ბასილი დიდის „სამოღვაწეო წიგნის“ – „ასკეტიკონის“ ქართული რედაქციების, ეფრემ მცირისეული თარგმანისა და სინის მთის ხელნაწერებთან პროკოპი მღვდლის სავარაუდო თარგმანის მიმართების შესახებ იხ. იქვე, გვ. 151; 176-187].

2. რადგანაც თვით ბერძნულ ენაშიც სხვადასხვა დროისა თუ სკოლების (კაბადოკიური, ალექსანდრიული, ანტიოქიური, კონსტანტინოპოლის) ავტორთა ენაში ტერმინოლოგიური ერთიანი სისტემა არ იყო გამოუმუშავებული, პოლისემიისა თუ „უდებებისაგან გონებათაჲსა“ ომონიმიის შემთხვევები ტერმინოლოგიაში ართულებდა მთარგმნელის შრომას: თარგმნის პროცესში ურთულესი თეოლოგიური და დოგმატური ხასიათის ტექსტებში გასარკვევად და აზრის ზუსტად გადმოსატანად მთარგმნელებს უხდებოდათ წმ. მამათა განმარტებების („თარგმანებათა“), ეგზეგეტიკის ღრმად შესწავლა, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების მოძიება და დამუშავება. სწორედ ამ სიძნელეებს გულისხმობდა ეფრემ მცირე, როდესაც წერდა: „*ვინაჲთგან ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყუაჲ მრავალთა პირსა აღიარებს... მაშინლა ძლით გულისხმა-იყოფებოდის,*

ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსი-კონნი შემოვიკრიბნი, მაშინლა ძლით მოუპოი ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ“ [ეფრემ მცირე, ფსალმ. კოლოფ., 2009:177].

ფილოსოფიურ სპეკულაციებში გამოცდილ ბერძნულ ენაშივე ტერმინთა პოლისემია და გაურკვევლობა, ხშირად ანტიკური ფილოსოფიური ტერმინების სხვადასხვაგვარი (ზოგჯერ სრულიად ურთიერთსაპირისპირო) გაგება ქრისტიანულ დოგმატიკაში ხშირად მწვალეზლობის მიზეზი და ცხარე საეკლესიო დისკუსიების საბაზი ხდებოდა (საკმარისია დავასახელოთ ὁσῖα არსება და ἰπίσταναι „გუამი, პირი“), მით უფრო, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია მოითხოვდა დახვეწა-დაზუსტებას: შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნილება ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებათა ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა.

3. ზუსტი თარგმანის მოთხოვნილების კიდევ სხვა მიზეზი იყო ბერძენთა ბრალდებები ქართველების მიმართ, თითქოსდა არასრულყოფილი თარგმანების გამო. კვლავ ეფრემ მცირე წერს თავის ერთ ანდერძში, რომ ამის გამო „გუაყუედრებდეს ბერძენნი და მათთა ყუედრებათაგან ბერძან კვრილე (კვრიკე) აღექსანდრიელმან მრავალთა წელთა მძძლავრა და კადნიერ-მყო მე ახლად თარგმნად ათექუსმეტთა სადღესასწაულოთა...“ [თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, 2009:128].

ეს დიდი მოღვაწე ხშირად შენდობას ითხოვს იმის გამო, რომ თავის მასწავლებელთა, „პირველ დამაშურალთა“ მთარგმნელების ნამუშავევის „გამოძიება“ უხდება, მაგრამ იძულებულია დაზუსტება-შესწორებანი შეიტანოს მათში, რადგანაც „ბერძულისათვის რომ არ შემედარა, თარგმანი სიტყვსაჲ გაირყუნებოდა და შემდგომნი მეცნიერნი ბერძულისანი მაბრალობელ გუექმნებოდეს გამოუძიებელად დაწერისათჳს სიტყუათაჲსაო“ [თვალთვაძე, ეფრემ მცირის „სამოციქულოს“ კოლოფ., 2009: 206].

ეფრემ მცირის ამ სიტყვებს რეალური საფუძველი ჰქონდა: ბერძენები ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ცილისწამებას არ ერიდებოდნენ, რომ ქართველები განედევნათ მონასტრებიდან (ამას თუნდაც თვითმხილველი გიორგი მცირის მონათხრობიც ადასტურებს: „კაცნი ვინმე სჳმეონწმიდელნი შურითა საეშმაკოთა აღიძრნეს ჩუენ ქართველთა ზედა და ენება, რაჲთამცა ნათესავი ჩუენი ძირითურთ აღმოჴფხურეს სჳმეონწმიდითა და განიზრახეს გულარძნილებით, რაჲთა ბინი რაჲმე დასწამონ და ესრეთცა სრულიად აღმოფხურნეს დიდებულისა ამის ლავრისა, პირველითგან თჳთ მის წმიდისა სჳმეონის მიერ დამკვდრებულნი“ [გიორგი მცირე, 1967:149 და შმდგ.] რასაც მოჰყვა წმ. გიორგი ათონელის ბრწყინვალე გამარჯვება ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსის წინაშე დისკუსიაში [იხ. იქვე, გვ.153 და შმდგ.].

ამგვარად, ბერძნულ დედნებთან ზედმინვენითი დაახლოების მოთხოვნის ერთ-ერთი მიზეზი იყო დიდ ბიზანტიურ კულტურასა და მნიგნობრობასთან გათანასწოებისაკენ მისწრაფება, რაც პრაქტიკული მიზნებითაც იყო განპირობებული: კერძოდ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ქართული სამონასტრო-მნიგნობრული კერების დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა ბიზანტიასა თუ მის პერიფერიებში. ამიტომ იყო, რომ შავ მთაზე დაიწყეს ძველი თარგმანების „გამოძიება“ და ბერძნულ დედნებთან შეხამება-შეჯერების გზით შესწორება, ან კიდევ, სრულიად ახალი თარგმანების შესრულება.

4. კიდევ ერთი მიზეზი ძველი თარგმანების სწორებისა იყო ისიც, რომ თარგმანის ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ და ენის გაზრდილმა შესაძლებლობებმა მთარგმნელებს ქართულ თარგმანში ბერძნული ენის სპეციფიკის კიდევ უფრო ადეკვატური ასახვის საშუალება მისცა.

ეფრემ მცირე თვლის, რომ ამ დროისათვის მტკიცე საზრდელის მისაღებად უკვე მზად იყო ქართველი ერი და წმ. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ უკვე სრულად, „საფილოსოფიო“ თავებითურთ თარგმნის „გარდამოცემასთან“ ერთად (მაშინ, როცა წმ. ეფთემეს თავის დროზე ეს თავები არ უთარგმნია); ასევე, წმ. მამათა ვრცელ განმარტებებს ურთავს „დავითნის“ მის მიერ რედაქტირებულ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს; ასევე, სრულად თარგმნის წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიებს, რომლებიც მკითხველისათვის ვრცელ კომენტარებს საჭიროებენ; და ბოლოს, თარგმნის დიონისე არეოპაგელის ოთხივე თხზულებას მაქსიმე აღმსარებლისა და გერმანე კონსტანტინეპოლელის განმარტებებითურთ.

ამგვარად, XI საუკუნიდან შავ მთაზე ეფრემ მცირისა და მისი თანამოღვაწეთაგან იწყება ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის ათვისება და ზუსტად, სიტყვა-სიტყვით თარგმნა-კომენტირება, რაც შემდგომ გრძელდება და ღრმავდება გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში.

ასე დაედო სათავე ე.წ. „ელინოფილურ“ მიმართულებას ქართული თარგმანის ისტორიაში.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტების ხელახლა თარგმნისას ქართველ მოღვაწეებს წინ ედოთ ძველი თარგმანები და მათ მისდევდნენ, რასაც მოწმობს ეფრემ მცირისა და გიორგი მთაწმიდლის არაერთი ანდერძი. როგორც ადრეც გვითქვამს, გიორგი მთაწმიდელი ერთ-ერთ თავის ანდერძში, რომელიც ბასილი დიდის „ექუსთა დღეთას“ თარგმანს ერთვის, წერს: „*ღმერთო, ძუელნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ჴელნი აღმიპყრნესო*“. ეფრემ მცირე, რომელმაც გიორგი მთაწმიდლის შემდეგ კიდევ ერთხელ შეუჯერა ბერძნულ რედაქციებს „დავითნისა“ და „სამოციქულოს“ თარგმანები და ჩაასწორა წმ. მამათა განმარტებების გათვალისწინებით,

მაგრამ ისე კი, რომ ძირითად ტექსტად, კიმენად, წმ. გიორგი ათონელის თარგმანი დატოვა და შესწორებები „კიდესა სტიქონისასა“ გაიტანა, რათა „არა ჴელმეორედ თარგმნილად შერაცხილიყო წიგნი სამოციქულო“, – ამ უკანასკნელისათვის დართულ ანდერძში როგორც ადრეც ვნახეთ, აღნიშნავს: „სადაცა კიდესა სტიქონისასა, ანუ სიტყუასა ზედა ზოტაჲ ჰჰოო და სიტყუასა თანა „უსაკუთრესი“, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებჲაჲ ჰნებებია მას სტყუასა, რომელი-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაჲსამე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე „პავლის“ ნაყოლისაგან დაუტევებია; რამეთუ პირველნი „დავითნიცა“, რომელ ახლად ეთარგმნენს, მრავალი სიყუჲ ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა, ვიდრემდს უკუანაჲსკენელ, დიდისა მის მოღუანისა, გიორგი დაყუდეულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულესად და უწმიდესად ეთარგმნენს... და მეცა, ეგრეთვე, სამოციქულოჲ სიტყუჲ ვითა მათ ეთარგმნა, ეგრეთ დამინერია პირველ, რაჲთა მოწფობჲ მისი სრულ-ვეყო, ხოლო, სადა თარგმანი სიტყვსა მაიძულებდა იშუთ ცვალებჲასა სიტყვსასა, იგი თარგმანსა შინა ზოტაითა და უსაკუთრესითა ამინიშნავს ყოველსა ადგილსა... რამეთუ არს მრავალი სიტყუჲ, რომელ თვსაგან პავლეს შინა ეგრე უფრო შეინყობვის ქართულად, ხოლო ოდეს წმიდათა თარგმანებასა თანა შეატყუა, პირველად სამოციქულოსა სიტყუასა გამოკულევაჲ უნა და შედარებაჲ, და ეგრეთლა თარგმანსა მისსა დანერაჲ...“ [ეფრემ მცირე, კოლოფ. 2009: 206].

ეფრემ მცირის მიერ შავ მთაზე დანერგილი ეს წესი – ტექსტის ზედმინევენით გამოძიება და თარგმანთან ერთად მისი განმარტება-კომენტირება – გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ძირითად მიზნად და მიმართულებად იქცა.

როგორც არაერთი ანდერძიდან ვნახეთ, შავ მთაზე, ეფრემ მცირესთან ეუფლებოდა გამონღვიღვითი და ზედმინევენითი თარგმანის ხელოვნებას დიდი გელათელი მოღვაწე, „განმანათლებელი ჩუენისა ეკლესიისა“, არსენ იყალთოელი, რომელსაც იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ეფრემისეული თარგმანის ავტოგრაფის გადამნუსხველი, „მჩხრეკელი ვ~ზასაკნაჲ“, თავის მწყალობელ ეფრემ მცირესთან ერთად, კეთილმსახურთა, თანამოღვაწეთა, მზრდელთა და განმაძლიერებელთა შორის მოიხსენიებს: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისთვს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი, და კეთილთა და მოღვაწეთა ჩემთა და განმაძლიერებელთა ამასთანა მზრდელთაცა და მსახურთა – არსენ იყალთოელისა, იოანე და იოანე ხუცესთა, სტეფანესთვს დიაკონისა და უფროჲს ყოველთა ჩემისა მწყალობელისა, ეფრემ მცირისათვს.“ (A-24, 137v). მიუხედავად იმისა, რომ არსენ იყალთოელი იცნობდა ეფრემის თარგმანს და იღებდა კიდევაც მონაწილობას ამ მუშაობაში, მან ხელმეორედ თარგმნა იოანე დამასკელის ეს თხზულება: ბერძნული ტექსტის განსხვავებული რედაქციებიც მოიძია, და ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უფრო დააზუსტა და გამართა ქართული თარგმანი. „დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის ერთი ანდერძის

მიხედვით ცნობილია, რომ არსენ იყალთოელს პეტრინონში მოღვაწე ბერის, **დავით პეტრინონელის** დავალებით უთარგმნია ნიკიტა სტითატის, ანტი-მონოფიზიტური – „სომეხთა წვალეების განმაქიქებელი“ თხზულება. მისი გამომცემლის, მათა რაფაევას დასკვნით, სავარაუდოდ, დავით პეტრინონელის ამ დავალებას „ადგილი ექნებოდა პეტრინონის ქართველთა მონასტრის დაარსების შემდეგ, ანუ 1083 წლის შემდეგ... არსენ იყალთოელის შავ მთაზე ყოფნისას“ [რაფაეა მ., 2013:18]. ასე რომ, ამ ხანებში არსენი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შავ მთაზეა, ოცი წლის შემდეგ კი, 1103 წელს კი იგი უკვე საქართველოშია და რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას უძღვება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათვის“ დართულ ანდერძში მოხსენიებული „*იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და ჯორციელად ღრამმატიკოსი*“, იოანე პეტრინი უნდა ყოფილიყო „...: *ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იოანესთვის, საღმრთოდ ფილოსოფოსისა და ჯორციელად ღრამმატიკოსისა, რამეთუ ... იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა პირუტყუთა უუგნურესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ არა თუმცა იგი ყოფილ-იყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა. მიხედვადმცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალისა ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილება ოდენ არს, მომიტევეთ და ლოცვა ყავთ*“ [A- 110, XII საუკ.: 195; ენუქაშვილი, პეტრე იბერიელი: 1961: 195].

* * *

მაგრამ გადის წლები და ეფრემ მცირისაგან განსხვავებით, რომელსაც ქართველ „ულუმპიელთა“ ნამუშავევში რიდიტა და კრძალვით შეჰქონდა შესწორებები, ახალი დროის, ჰუმანიზმის ეპოქის წინამორბედი, გელათის საღვთისმეტყველო-მთარგმნელობითი სკოლის უდიდესი წარმომადგენელი, იოანე პეტრინი, თავის თავს აღარ უწოდებს „უნდოსა“ და „ცოდვილს“ „უნარჩევსა და უღირსს“, „შეურაცხსა“ და „მნიკულევანს“, არამედ „არ რიდილად“, დაურიდებლად განაცხადებს: **„მრცხუნის მე, თვთ მის ჭეშმარიტებისაგან, აქათ წარსულსა და მკუდარსა, რამეთუ არსთა წილ არათა გარდმოვანებდე... რამეთუ, ჩუეულება არს ჩუენდა ადვლთა და ჩუეულთა სათარგმანთა შორის თხზვად და მორთვად ენისად, არამედ ძნელთა შორის გონებითთა და ფილოსოფოსთასა ყოველსა სილიტონესა და თანმიყოლასა ენისაებრსა ვემხარკები დადებად, ვიდრე სადამდის სილიტონითა დაშლად და ვნებად გონებასა არ შეემთხუეოდის, რამეთუ ყოველი ჰაზრი ჩემი მათ შორის გონებისა და ხედვისათვის არს, ანუ-და სიტყუერებითი იყოს, გინა-და სწავლულებითი, ანუ-და ბუნებითი და ღმრთისმეტყუელებითი, – ვითავე ამათ წინა ნემესიოჲს წიგნისა შეწყობასა შინა მეხარკა“** (იოანე პეტრინი, „ბოლოსიტყვაობა“, 1937: 222-223; 2016: 225-226)... „ბერძენთა და ქართველთა შორის უცხოებაში, შურისა და ვერაგობის სახუმილავში მიდმოზნეულს“, მას რწმენა ღვთის განგებისაგან მოცემული

„გონებითი ხედვების“ დიდი ნიჭისა, თავისი მაყვედრებლების საპასუხოდ, საჯაროდ, „სიმამაცით“ ათქმევინებს: „*მე ამათ ყოველთა მოუგებელთაგან ვისჯებოდი, და რაჟვე ნაქმადი ტკივილთა ჩემთაჲ მათ წინა დაედებოდის – ვითავე ხედვათა ჩემთა მაცხოვრებელი იტყვს ჳმად: „**ნუ წინა-დაფენად**“ [შდრ. „**ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოროთა...**“ მათე, 7,6] – არამედ, იუნყედ, ... ვითარმედ მე, კაცი დავხუდი ღმობათა შორის ჩემთა და მამაცი ტკივილთა შორის გონებისათა! – და არა ვეც რული (ფსალმ. 131,4) სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელსა ბნელი უმეცრებისაჲ არღა ენაცვალების, და **აღვიშურვე ტომისათვს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან...**“ [„ბოლოსიტყვაობა“, 1937: 220; 1999: 214; 2016: 423].*

იოანე პეტრიწი თამამად და მოურიდებლად აკრიტიკებს „განმრავლებულ გარდმომღებლებს“ – მთარგმნელებს, რომლთაც „სახარებათა შინა და სამოციქულოთა და სხუათა ყოველთა ესვითათა შინა“ განცხადებული „ძალითი (პოტენციური) სიტყვის (ლოგოსის)“ განკაცების საიდუმლო – „**დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ**“ (იოანე, 1,1) – არასწორად უთარგმნიათ: „**პირველთგან იყო სიტყუაჲ**“ – და არა უწყიან, რომელ **პირველი – შემდგომთა არს პირველი... და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამის-შორისი, რომელ არს დასაბამი თვს-შორისისა სიტყვსაჲ**, ვითარ დისკოჲ – თუალი მზისაჲ – შარავანდედთად. და კუალად: ვითარ იტყვს დამდეგი ჩუენსა შორის ენითსა ღმრთის მხილველსა მოსეს მიერ... სიტყუასა, ვითარმედ: „-მოვედით და ვქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო“ – არ ესთა! არამედ ესთა, თუ დამხედმან იჭურიტნე. იტყვს: **მოვედით და ვქმნათ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენსა**“. და თუმცა სიტყუაჲ სივრცოდმი არ ...ინარებდა, **გიჩუენეთმცა თქუენთა ულუმპიანთა ძლევენიო**“ [იოანე პეტრიწი, „ბოლოსიტყვაობა“ 1937: 219; 2016: 421-422].

